გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/kelo

ქრონიკა

№ 4
(11 766)

16 - 19 იანვარი, 2004 წ. ფასი 40 თ.

გაზეთი 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერშია:

- თბილისელი რაჟა საფრანგეთის რჩეული
- მერაბ ქორდანია გათავისუფლდება!
- „იმერეთი“, ჩვენი „იმერეთი“
- დღთ ხვალ იწყება
- სუპერლიგა პოსტსაბჭოურ სივრცეში?
- საქალაქო ამოცანა, კროსპორდი

ეს ჩვენი ახალი დროშაა

საქართველოს პარლამენტმა, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დაამტკიცა საქართველოს ახალი ეროვნული დროშა – ხუთჯვრიანი.

ამიერიდან ეს დროშა უწინამძღვრებს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს და, რაღა თქმა უნდა, რჩეულ სპორტსმენებს საერთაშორისო სარბიელზე. ეს დროშა აფრიალდება წლეულს, ათენში, ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე, მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო ალმების გვერდით. ხუთჯვრიანი ქართული დროშა უნდა იყოს ფეხბედნიერი, მან უნდა მოგვიტანოს დამოუკიდებელ საქართველოს ოქროს პირველი ოლიმპიური medali ათენში!

სურათზე: საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ახალ ეროვნულ დროშასთან.

ოლიმპიური ცეცხლის მარშრუტი

2004 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაქვეყნა ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტის მარშრუტი. ესტაფეტა დაიწყება 25 მარტს ძველ ოლიმპიაში (საბერძნეთის სამხრეთით), ცეცხლით მოიელის საბერძნეთის რამდენიმე კუნძულს, შემდეგ მას ჩაიტანენ ათენში და ისტორიულ ძველ სტადიონზე ანთებენ სპეციალურ ადგილზე. სადაც 1896 წელს აინთო ოლიმპიური ცეცხლი პირველი ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე.

4 ივლისს ოლიმპიური ცეცხლი დაიწყებს ესტაფეტას, მოიელის 33 ქალაქს, ხუთ კონტინენტზე და 9 ივლისს ისევ საბერძნეთში დაბარუნებენ ქალაქ ირაკლიონში. ამის შემდეგ იწყება კიდევ ერთი ესტაფეტა. ცეცხლი მოიელის 32 ბერძნულ კუნძულს, 24 არქიტექტურულ და ისტორიულ ადგილს, კვლინ 680 დიდ, საშუალო და პატარა ქალაქს. აქვე ვიტყვით, რომ 2004 წლის ოლიმპიური თამაშები 13-29 აგვისტოს ტარდება. ათენსა და საბერძნეთის კიდევ ოთხ ოლიმპიურ ქალაქში — სალონიკში, პატრაში, ვოლოსში და ირაკლიონში, ავრეთვე, ძველ ოლიმპიაშიც.

ოპტიმიზმი და ზღვა სიხარული „სარაჯიშვილში“

თუ სპონსორთა ასეთი თანადგომა ტრადიციად დამკვიდრდა, ქართულ სპორტს არ უნდა გაუჭირდეს.

სიმბოლური იყო, რომ საქართველოს სპორტმენთა 2003 წლის წარმატებები, სპონსორთა დახმარებით, საზეიმო რესტორან „სარაჯიშვილში“ აღინიშნა. სარაჯიშვილი ხომ თავად იყო უბრალესი ქველმოქმედი. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს ამ

რჩეულებს მიესალმა აკადემიკოსის როინ მეტრეველი

ტრადიციული. წლის შემაჯამებელი ღონისძიების სტარტებში ხელი გაეშართის სპონსორებმა — ბანკებმა „პირველმა“, „პრო კრედიტმა“, „პრომთვ“, მსოფლიო სავჭრო კორპორაციამ, სასტუმრო „აკადემიამ“, სს „ქართულმა შაქარმა“, კომპანია „ალზებემა“, ტელეკომპანია „ვრცემ“.

შარშან საქართველოს სპორტსმენებმა 128 მედალი მოიპოვეს, აქედან ოქროსი — 35, ვერცხლისა — 44, ბრინჯაოსი — 49. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მემარნიშვილი მედლის და ყველგან მაღლიერების გრძნობით იხსენებს სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს, ფუნქციონერებს, ჩვენს ჟურნალისტებს, ფედერაციებს, ექიმებს, ყველას, ვისაც თავისი წვლილი შეუტანია ჩვენი ქვეყნის ახალ-ახალ სპორტულ მიღწევებში. ასეთი ერთსულოვნება კი იმის გარანტია, რომ ჩვენი ათლეტები წარმატებით ისპარეზებენ ათენში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში, მოიპოვებენ იმ სანუკვარ ოქროს medals, რომელსაც კარგა ხანია დამოუკიდებელი საქართველო ელოდება.

საზეიმო შეხვედრაზე ორ ათეულამდე ნომინაციაში გამოაცხადეს სპეციალისტები:

— საქართველოს საბრის ფედერაცია და სამხრეთის შორის საუკეთესო სპორტსმენი **ზვიად ჩინჩალაძე** (დაჯილდოებენ თანაბრად და დიპლომით);

— საქართველოს რაგბის კავშირი და წლის საუკეთესო მოთამაშე **იდია ზედგინიძე** (დაჯილდოებენ თანაბრად და დიპლომით);

— საქართველოს ჩოგბურთის ეროვნული ფედერაცია და საუკეთესო ჩოგბურთელი **ირაკლი ლაბაძე** (დაჯილდოებენ თანაბრად და დიპლომით);

— საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაცია და საუკეთესო მშვილდოსანი **ხათუნა ნარიმანიძე** (დაჯილდოებენ თანაბრად, დიპლომითა და ფასიანი საჩუქრით);

— საქართველოს ხომის ეროვნული ფედერაცია და საუკეთესო ხომოსანი **ლევან ცაბაძე** (დაჯილდოებენ თანაბრად, დიპლომითა და ფასიანი საჩუქრით);

— საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია და საუკეთესო მძლეოსანი **მაგუა ტეხური** (დაჯილდოებენ თანაბრად, დიპლომითა და ფასიანი საჩუქრით);

— ნომინაციაში „ოლიმპიური იმედი“ თანაბრად და დიპლომით დაჯილდოდა საქართველოს წყალში მხტომელთა ბენდი.

იხ. გვ-2 გვ

რედაქტორის სვეტი

იხსენით სპორტსმენები ტრაგედიისგან

ბოლო წლებში სპორტსმენთა უეცარი გარდაცვალების საგანგაშო ამბებს ვიტყობთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. XXI საუკუნეს, მართალია, მედიცინა ახალი მიღწევებით შეეგება, მაგრამ არც სპორტი დარჩენილა წარსულის დონეზე, მაღლდება შედეგები, რასაც ძირითადად წვრთნის პროცესში დატვირთვების ზრდა განაპირობებს. ოღონდაც სპორტი და მედიცინა ერთად მოაბიჯებს და მაინც, თუ არა ლაფსუსები და უპასუხისმგებლობა, სხვას რას უნდა მიეწეროს სპორტსმენის, წესით და რიგით ამ ჯანსაღი ადამიანის ტრაგედია?

იყო დრო, ყველა მოზარდი ღრმა სამედიცინო შემოწმებას ჯერ სპორტულ სექციაში მიღებამდე გადიოდა, შემდეგ მედიცინობის პროცესში წელიწადში – ორჯერ. საბჭოთა პერიოდზე მოგახსენებთ. სპორტსმენის საკლასიფიკაციო წიგნაკში სპეციალურ გრაფაში ფიქსირდებოდა სისტემატური შემოწმების შედეგები. მოკლედ, კონტროლი გარანტირებული იყო. რა ვითარებაა ახლა? შეიძლება მოჭრით ითქვას – საგანგაშო! განსაკუთრებით ეს ეხება დამწყებ სპორტსმენების სამედიცინო გამოკვლევას და სპორტულ სექციებს. მხოლოდ ნაკრები გუნდები არიან უზრუნველყოფილნი სამედიცინო მომსახურებით, თუმცა პრობლემები იქაც არის. ჩვენში ამ საქმეს, სპორტულ ორგანიზაციებთან შეთანხმებულად არეგულირებს საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაცია, რომლის თავკაცი, პროფესორი ზურაბ კახაბრიშვილი სპორტიდანაა მოსული მედიცინაში და ბედნიერ თანხვედრასთან გვაქვს საქმე. „ასოციაცია შეშფოთებულია ბავშვთა სპორტში სამედიცინო მომსახურების უგულებელყოფით, არ ხდება ადრეულ ასაკში დაავადებათა ნიშნების გამოვლენა და პროფილაქტიკა, რასაც შემდგომში მივყავართ სერიოზულ შედეგებამდე“ – ითქვა ასოციაციის მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე.

დავუბრუნდეთ სპორტსმენთა სიკვდილიანობის ფაქტებს. მაღალი მიღწევების სპორტში ასეთი შემთხვევები მსოფლიოს სპორტული და არა მხოლოდ სპორტული საზღაფოებრიობის შეშფოთებას იწვევს. ალბათ, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმ მედიკოსთა მოსაზრებებს, რომლებიც ეჭვს გამოთქვამენ, რომ უბედურების სათავე დასაძებნია დოპინგის ესოდენ გავრცელებასა და ზოგიერთი ათლეტის მიერ ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებაში. სწორედ ამ მავნე ნივთიერებების გადაჭარბებული დოზა შეიძლება იწვევდეს სპორტსმენთა უეცარ სიკვდილს. საქართველო ამ მხრივ, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე სუფთა ქვეყანაა. მაგრამ, როგორც ნათქვამია: „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“. კვლავაც ფხიზლად ყოფნა გვმართებს და, რაც მთავარია, – სპორტული მედიცინა ისეთი მოცულობით და ინტენსივობით უნდა დავუბრუნოთ ქართულ სპორტს მის ყველა საფეხურზე, როგორც ეს ადრე იყო.

დიდი თანადგომი

ბაგარი პატრიკიევიჩი სპორტულ სატყორობილო სპორტის სასტიკი პრეზიდენტია.

სპორტულ ფედერაციებში ადრე მაღალი თანამდებობის პირებს იწვევდნენ ხელმძღვანელად. მერე დრო შეიცვალა და აჭკნენ, შეძლებელ ადამიანებზე გადაიცვალა სამეფოებრივ. ბუნება გამარილა და ქართული სპორტი ატასტროფოსგან იხსნა მათმა თანაგრომამ. მაგალითების ჩამოთვლას აღარ დაიწყებთ. მთავარი ისაა, რომ კარგი ტენდენცია გრძელდება და ეფორო მეტ ატორიტეტად და შეძლებელ ადამიანებს უნდათ სპორტული ფედერაციების სათავეში. ამიერიდან მათ რიცხვს შეემატა საქართველოს სატყორობილო სპორტის სასტიკი პრეზიდენტი, ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი ბატონი პატრიკიევიჩი. კაცი, რომელიც ახალგაზრდობაში თავად ეფიდეა თავმოყვარეული ატორი მოგარეული.

საქართველოს სატყორობილო სპორტის ფედერაციის ახალი სასტიკი პრეზიდენტის წერილიდან ეუნდერად მრავალი საინტერესო ინფორმაციის ამოღება რა ბაზა და სარბოლო მნებნების როგორ შემდეგნერობა გაგვანია, რა პრობლემებია გადასაწყვეთი.

ბ. პატრიკიევიჩის იქნა გადაცემ შედეგი ღიღებია, რაც მას ბანაცხადა, რომ ღიღებას მიღებით ორგანიზაციის ამაყვა ან ეწყობს ხელს.

G. ბაძრაძე

მერაბ ქორდანია განთავისუფლდება

თანხა, კონკრეტულად კი 742 000 ლარი, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა ედავებოდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მერაბ ქორდანიას, გადახდილია. თანხა ქვეყნის საბიუჯეტო ანგარიშზე გუშინ ჩაირიცხა. „შინაგან საქმეთა სამინისტროს მერაბ ქორდანიასადმი პრეტენზია არა აქვს“. – განაცხადა საქართველოს შსს მინისტრმა გია ბარამიძემ. ზუსტად ერთთვიანი წინასწარი პატიმრობისა და სათანადო სამართლებრივი პროცედურების ჩატარების შემდეგ მერაბ ქორდანია განთავისუფლდება და ჩვენც საფეხბურთო საქმეს დავუბრუნდებით.

ვიქტორია რაჟა ფრანგთა რჩეული

„მე ქართველი ვარ“ – როგორც უცხოეთის საგაზეთოები იუწყებიან, თბილისში აღზრდილ-დაოსტატებული ფრენბურთელი ვიქტორია

რაჟა, თურმე ასე პასუხობს ჟურნალისტებს, როცა მის წარმოშობაზე ეკითხებიან.

ჩვენებურმა ფრანგების ფურცლებსა პარიზში საფრენბურთო მოედანზე პირველად გამოჩენისთანავე მიიპყრო და მას შემდეგ ეს უღამაზესი ქალიშვილი და დახელოვნებული სპორტსმენი მილიონთა ცრუად იქცა. და აი, ალიარების გვირგვინი — ვიქტორია რაჟა ფრანგმა სპორტულმა ჟურნალისტებმა საფრანგეთის 2003 წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს და რეფერენდუმის შედეგებით თვით ზინედინ ზიდანსაც გადაუსწრო.

კვლინ რჩეული სპორტსმენის ჯილდოს ვიქტორია რაჟას მომავალ პარასკევს გადასცემენ საზეიმოდ.

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 1 თვე გვაშორებს

ათენში 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე 212 დღე დარჩა

ვრცელდება გაზაფხულის საქართველოს სპეციალური – ქართულ სპორტს!

უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

ეშმაკი აჩიკუნა

თენგიზ ბიორგაძის მოგონებებიდან „ლელო“ დაბეჭდილებები

ასე ეძახდა მოფერებით ნოდარ გუგუშვილი არჩილ მხეიძეს. გარეგნულად არჩილი ბრგე იყო, თავისი საქციელით, ურთიერთობაში მუდამ სითბოს აფრქვევდა. პატარა ეშმაკიც იყო, მაგრამ ტაქტიც. არჩილს თასე ჰქონდა დამთავრებული. პროფესიით ისტორიკოსი გახლდათ, მაგრამ ჟურნალისტობას გაჰყვა, მართალია, წერა არ უყვარდა, მაგრამ დიდად ცნობისმოყვარე იყო.

ჩვენ, „ლელოელებს“ გეხსომებოდა თავისი ეშმაკობით. ვიცოდით, რომ გვატყუებდა, მაგრამ გვსიამოვნებდა როგორ აკეთებდა ამას. ერთხელ გამოაცხადა, რომ ფოსტაში ნაცნობი მყავს და შემიძლია ხელი მოგაწერინოთ ჟურნალ „ნოვი მირზე“. ყველას გაგვიხარდა და მთელი წლის ფული გავატანეთ. მეორე დღეს ყველა ქუთაისი დაგვირეკა. რომელიღაცამ გაიკვირვა: რატომაა მხოლოდ სამი თვით გამოწერილი? ჯერ ეს გეყოფაო სიხარულად. მერე დანარჩენს გამოგიწერთ, აბა, რა მეშვა, ფული მჭირდებოდა! ცხადია, სამი თვის შემდეგ ჟურნალს არ ვღებულობდით.

მახსენდება კიდევ ასეთი ამბავი. თანამშრომელი რიგრიგობით ემორიგებოდით გაზეთზე. „ფხიზელი თვალი“ ამიკუნა იყო, ოთახად წერაზე თავს არ იკლავდა. ერთხელაც არ მოეცა წასაკითხად. მიშა კაკაბაძე საშინლად განრისხდა. თავად მოუარა გაზეთს. მეორე დღეს საფეიერო რომ უთხრა მიშამ, უპასუხა: — აბა, რა მეშვა, კაცმა რესტორანში დამპატიჟა, ეური მეთქვა?! რედაქტორს გადაავიწყდა წერა და გაეცინა.

არჩილი კარგი ოჯახის შვილი იყო. მამა ეკონომისტობდა ჰყავდა, დედა პოლონელი თავდაც ცხნაროსკის ასული. სხვათა შორის, არჩილს ლიტერატურულ ფსევდონიმად ჰქონდა ცეხანური. ჰოდა, არჩილი ზრდილი, ჯენტლდეგიანი, და მეგობრული იყო. ასეთი მეგობრობაც ჰყავდა სხვა გაზეთებში, რაღიოკომპანიებში, მათაც იცოდნენ არჩილის ოინები და ღიმილით პატიობდნენ ხოლმე. ერთხელ ყველაზე ხელმოჭერილნი მიიწვია რესტორანში. მდიდრული სუფრა გაუშალა, პრემია მიეცი. შუა ქეიფში, ერთ წუთს გავალო, შინ წამოვედი. მის მეინახეებს ანგარიშსწორება მოუხდათ. ჰკუა ვასწავლე ძუნწებს, თუმცა მჭირნახულ ხომ არ უნდა იყენონ.



არჩილს ჰაღრაკი უყვარდა, ჩემთან დადიოდა პაონერთა სასახლეში, სადაც წრეს ვხელმძღვანელობდი. კარგად თამაშობდა, რეკდაქციაში თითქმის ყველას უგებდა. ტრასბობდა, ნიძლავსაც იგებდა. ბიჭები გამოსვალ ეიძებდნენ, სურდათ დაესახათ. 1970 წელი იდგა. იმ წელს ათი წლის ზურაბ აზმაიფარაშვილი თანატოლებში საქართველოს ჩემპიონი გახდა. იგი რეკდაქციაში მოეწვიე, წერილი რომ დამეწერა. გაზეთის პასუხისმგებელმა მდივანმა არჩილ გოგოლაშვილმა, რომელიც მხეიძის მთავარი მტერი იყო ჭადრაკში, მითხრა: შეეძახეთროთ არჩილს ზერეკო. ასეც მოვიქეცით. არჩილსა ღიმილით დაგვთანხმდა „გამოეცადა“ ნორჩი ჩემპიონი. მიუსხდნენ დაფას ეს ცრცხა ბიჭი და გოლიათი ლელოელი. პირველი პარტია რომ წააგო აჩიკუნამ, შეცბა. კიდევ ვითამაშოთო. ზურაბმა კიდევ ორი პარტია რომ მოიგო, მაყურებლებმა სიცილი დაიწყეს. გონს მოსულმა გვითხრა, რა გიხარიათ, პატარა დიდოსტატთან დამპარცხდი. თუ რამე შეგიძლიათ, თავად მომიგეთ. პატარა ზურაბს მაღლობა უთხრა კარგი გაკვეთილებისთვის.

და კიდევ ერთი კურიოზი, რომელიც თითქმის ოთხ თვეს გაგრძელდა.

არჩილი ახალი დაჯორწინებული იყო, რომ ნოდარ გუგუშვილმა გაშაყრების მიზნით, დაურეკა ვილაც ქალის სახელით, რატომ მიდალატე და სხვა შეირთე ცოლადო. არჩილმა გაბარაზებით დაადო ყურმილი. ნოდარიმ კვლავ დაურეკა, რა თქმა უნდა, ქალის ხმით. შეშინებულმა არჩილმა ჩვენ გვითხრა, რომ არ იცნობს ამ ქალს. ვილაცაა ჩემი ოჯახის დანგრევა სურსო. ეს ხდება რედაქციაში ორი, სხვადასხვა ოთახში დადგმული ტელეფონით. როგორც კი დარეკავდა ნოდარი „ეს მე ვარო“, მაშინვე აინთებოდა არჩილი, ბოლოს გაეუმხილეთ, რომ ჩვენ ვიყავით. ნოდარიმ იმ ქალის ხმაც მოამზეინა, მაგრამ არ დაგვიყრია.

აი, ასე შეხეტრებული ვიყავით ლელოელები. ეს იცოდნენ ჩვენმა კოლეგებმა სხვა რედაქციებიდან, მაგრამ გული სწყდებოდათ, რომ ჩვენი არცო მხეიძის შსგავსი კოლორიტული ფიგურა არ ჰყავდათ. არჩილს „ლელოში“ სიცოცხლე შემოჰქონდა.

სურათზე: 10 წლის ზურაბ აზმაიფარაშვილისა და არჩილ მხეიძის შეხვედრა. თამაშს თვალს ადევნებენ თენგიზ ბიორგაძე (მარცხნივ) და არჩილ გოგოლაშვილი.

მიხეილ ზარგარაიას ფოტო.

ოჯახი ზღვა სიხარული „სარაჯიშვილში“

კირველი გვერდიდან

— ნომინაციაში „2003 წლის აღმოჩენა“ დიპლომითა და თასით დაჯილდოდა შვეიცარიასა და ფასიანი საჩუქრით **ქრისტინა ცუბაუა**;

— ნომინაციაში „საუკეთესო მწვრთნელი“ დასაჯილდებენ საქართველოს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ბეგი დარჩია**, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ზაზა თურმანიძე**, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელი **შოთა ხაბარელი**. საუკეთესო მწვრთნელები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფულადი პრემიებით 5500 აშშ დოლარის ოდენობით თითოეული. გარდა ამისა, ბეგი დარჩია და ზაზა თურმანიძე დაჯილდოვდნენ ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენებით (შოთა ხაბარელს ეს ჯილდო უკვე მინებებული აქვს);

— საქართველოს კარატე-დოს ფედერაცია და ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი კარატისტი **ლევან გორეზაშვილი** (დაჯილდოვდნენ თასით, დიპლომითა და ფასიანი საჩუქრით);

— ნომინაციაში „2003 წლის საუკეთესო მსაჯი“ თასითა და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა **ზაზა შანავაძე** (ალთაბერთან);

— ნომინაციაში „ოლიმპიური თამაშების პირველი ლიცენზია“ დიპლომითა და ფულადი პრემიით (200 აშშ დოლარი) დაჯილდოვდა ტყვიის მსროლელი **ნინო სალუქვაძე**. ასევე დაჯილდოვდნენ ტყვიის მსროლელთა ნაკრების მწვრთნელი **გიგი ბოსტოღანაშვილი** და პირადი მწვრთნელი **ვახტანგ სალუქვაძე** (500-500 აშშ დოლარით);

— ნომინაციაში „2003 წლის საუკეთესო ეჭვი“ სპორტის სახელმწიფო კომიტეტის „მადლობის ფურცლით“ დაჯილდოვდნენ: საქართველოს ოლიმპიური ნაკრების მთავარი ექიმი **ზურაბ კახაბრიშვილი**, ჭეს „ნეკრის“ ხელმძღვანელი **ვალერი ახალკაცი**, თსსუ-ს პროფესორი **ნაირა ჭაბაშვილი**, თსსუ-ს სპორტული მედიცინის კათედრის გამგე **პაველ კახპაძე**, სამედიცინო ფირმა GPC-ის პრეზიდენტი **დავით კლდაძე**, სამედიცინო ფირმა „ავერსის“ პრეზიდენტი **პაატა კურტანიძე**;

— ნომინაციაში „2003 წლის საუკეთესო ლეგიონერი“ დიპლომითა და სამახსოვრო პრიზით დაჯილდოვდა იტალიის კლუბ „მილანის“ ფეხბურთელი **კახა კალაძე**. მასვე მიენიჭა „სპორტის რაინდის“ ორდენი;

— საქართველოს ჭადრაკის ეროვნული ფედერაცია და საუკეთესო მოჭადრაკე **ზურაბ აზმაიფარაშვილი**. იგი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხისა და „სპორტის რაინდის“ ორდენებით;

— საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია და საუკეთესო ძიუდოისტი **ზურაბ ზვიადაური**. ფედერაცია დაჯილდოვდა თასითა და დიპლომით, ზურაბ ზვიადაური გადაეცა ფულადი პრემია 7000 აშშ დოლარის ოდენობით. ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე, 2003 წლის ეროვნის ჩემპიონობში გამარჯვებულები და პრიზიორები: **ნესტორ ხერგიანი** (5000 აშშ დოლარი), **დავით მარგოშვილი** (3000 აშშ დოლარი), **რამაზ ხოჩოშვილი** (2000 აშშ დოლარი);

— ნომინაციაში „2003 წლის საუკეთესო მეცნიერი“ თასითა და დიპლომით დაჯილდოვდა ბიზნესმენი **ბადრი პატარკაციშვილი**;

— ნომინაციაში „2003 წლის საუკეთესო ეროვნული საწარმო“ თასითა და დიპლომით დაჯილდოვდა საზეიმო საღამოს მთავითვე სპონსორი სს „ჩაიოთული ზაჭარი“ და მისი ხელმძღვანელი **თენგიზ გოგობაშვილი**;

— ნომინაციაში „2003 წლის საუკეთესო ფედერაცია“ დაჯილდოვდა საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი **გოჩა ძასხოფია**) და საუკეთესო მოჭიდავეები: თავისუფალი ჭიდაობა — **ელდარ კურტანიძე**; ბერძნულ-რომაული ჭიდაობა — **მანუჩარ კვირკველია**; ქართული ჭიდაობა — **ალექსი დავითაშვილი**.

● **ალექსი დავითაშვილი** დაჯილდოვდა სპეციალური დიპლომითა და ფასიანი პრიზით.

● სპეციალური დიპლომით, ფულადი პრემიით 10000 დოლარის ოდენობით დაჯილდოვდა **ელდარ კურტანიძე**, მას გადაეცა აგრეთვე ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და „სპორტის რაინდის“ ორდენები.

● სპეციალური დიპლომით, ფულადი პრემიით 10000 დოლარის ოდენობით დაჯილდოვდნენ **მანუჩარ კვირკველია**. მასვე გადაეცა „სპორტის რაინდის“ ორდენი.

● ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე: **რამაზ ხოჩოშვილი** — 10000 დოლარი; **ნესტორ ხერგიანი** — 10000 დოლარი; **მუხრან ვახტანგაძე** — 2000 დოლარი; **ალექსი მოდებაძე** — 2000 დოლარი.

● საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **გოჩა ძასხოფია** დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხისა და „სპორტის რაინდის“ ორდენებით.

მეორე რიგში მარჯვნიდან პირველი – მაგი ყკაროცელი

ბილიარდი

აჭარას ღირსეული ჩემპიონი ჰყავს

ბათუმის ბილიარდის სასახლეში, დეკემბრის ბოლოს, მაღალი რეიტინგის 16 მობილიარდის მონაწილეობით დასრულდა აჭარის ჩემპიონატი სპორტულ ბილიარდში — პირამიდაში. 4 ჯგუფიდან ორ-ორმა საუკეთესომ გაიკრიბა ბრძოლა ნახევარფინალში, სადაც გამარჯვებულებმა ფინალში, დამარცხებულებმა — მესამე ადგილისათვის ითამაშეს.

ტურნირის მესამე პრიზიორი გახდა ცაბა შაჭარაშვილი, რომელმაც რევანშისტ გოგიტიძეს ჯობა.

ფინალში დავით ფიფია და იოსებ დიასამიძე — ნათლია და ნათლული დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ნათლია, — დავით ფიფია უდავოდ ფავორიტი იყო და გაიმარჯვა კიდეც — 7:3.

აჭარის ბილიარდის ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა თენგიზ მესხიძემ და სატურნირო ორგანიზაციის გამგემ თენგიზ ღლონტმა გამარჯვებულებს გადასცეს ფულადი პრემიები.

„ეს იყო ჩემი პირველი ტურნირი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ. ვფიცობ, თავი არ შევირცხენი სხვა ტურნირებშიც“ — თქვა დავით ფიფიამ.

გიორგი აბაშიძე, ბათუმის მერი: „ბილიარდი დღითიდღე პოპულარული ხდება ჩვენს ქალაქში. ის, რომ აჭარის ბილიარდის ფედერაციამ ბოლო სამ თვეში სამი ტურნირი ჩაატარა ბათუმში, ბევრის მოქმედია. ახალგაზრდა მობილიარდეებმა ამპიღეს სათამაშო კლასი. აჭარას კი ღირსეული ჩემპიონი ჰყავს. დათო ფიფია ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში“.

ოთარ მურვანიძე „ლელოს“ საკ. კორესპონდენტი აჭარაში.

მეშობლიურ ფესვებზე აღმოცენებული

წელწინახს მრავალი სასახელო შეღი გაუზრდია და ღირსეულად ამაყობს მათი სახელებით. ვინ მთელის, მსოფლიოს რომელ კუთხეში არ დაუდგამთ ფეხი და სამწობლო ფასახელებიათ. მაგრამ ერთია, აქედან წასულებს ყველა მოპრუნება უჭირთ ხოლმე.

ახლა ვიზეცაც ვისაუბრებთ — საპრისპიროდაა საქმე. თბილისში დაბადებულ-გაზრდილი მაკი კვარაცხელია არ ივიწყებს წინაპართა მიწას და თვალი სულ წელწინახისკენ უჭირავს. ამ ახალგაზრდა კაცის თაოსნობით შარშან ზაფხულში, წელწინახის ცენტრალურ სტადიონზე, ერთი კვირის მანძილზე იმართებოდა „ღია სახალხო ფეხბურთის“ გაკვეთილები წელწინახელ, საბინაოელ, ნაცოფელ და სხვა აქ მცხოვრებ ლტოლვილ ბავშვებისათვის. პროგრამის მიხედვით სულ 192 ბავშვი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მაკის მეცადინეობის, მათი რიცხი ორასს ასცდა. ის და მისი მეგი თავად იხდიდნენ ამ ხარჯებს. ბავშვებს ფეხბურთელებსაც გაეწნენ. ის კი არა, წელწინახის „სქერის“ ფეხბურთელებსაც დაამპატიჟა. მოკლედ, ერთი კვირა არნახული სიხარბურთო ზეიმი სუფევდა წელწინახში. ამით ალფრთოვანებულმა პროგრამის ხელმძღვანელმა დანიელმა ანდრეს ლეგანესმა არსად ისურვა ღამის გათევა და წელწინახის მიაშურა, დათა თუთაშხისეულ სანიზში, მესხიების ოდაში გაათია ღამე...

მაკი კვარაცხელის სასახელოდ კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება, თუნდაც ის, რომ იგი უკვე ეუფას ბავშვთა პროგრამის ოფიციალური ინსტრუქტორია და საუკეთესო შედეგები აქვს. ყველაზე მთავარი — მისი მონდომებითა და ინიციატივით, სოფელ სანიზში სულ მალე აღდგება საბჭოურ პერიოდში სოფლის დანგრეული ეკლესია... ღმერთმა უმრავლოს საქართველოს მაკი კვარაცხელის დარი ბიჭები...

თენგიზ მესხია

რედაქციისაგან: ჩვენ სიამოვნებით ვაქვეყნებთ ამ წერილს და ერთს დავძენთ: მაკი კვარაცხელიას უფროსი ძმა საფეხბურთო სკოლა-ინტერნატში კარგად ცხრაღი, უკვე მეხუთე ოფიცერი მამუკა კვარაცხელიაა, შუათანა ძმას, მალხაზს კი „ლელოში“ არაერთი წერილი უძღვნა მარნეულის რაიონის სოფელ „წერეთელში“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

UNITE AGAINST RACISM

ფეხბურთი რასიზმის გარეშე

კოსმოსიდან მანეჟში

თბილისის „დინამო“ მეოთხე დღეა მოსკოვშია და დსთ-ს ქვეყნების თასის გათამაშებისთვის გამალებით ემზადება. გუნდი სასტუმრო „კოსმოსში“ ბინადრობს და „სპარტაკის“ მანეჟში ორჯერად ვარჯიშებს ატარებს. ტურნირი ხვალ იწყება. ჩვენებურების შემდგენლობას პირველ მატჩზე ტრავმის გამო, ალბათ, მამუკა წერეთელი გამოაკლდება, გუნდის ახალბედა მცველი შოთა კაშია ავადაა, დაშავდა მეკარე ხოთქეც და შეიძლება მანაც ვერ ითამაშოს. სხვები ჯანმრთელად არიან. გუდუშმატკივრებს კი კვლავ ვთავაზობთ ტურნირის სრულ განრიგს.

გაგაცნობთ ჯგუფების შემდგენლობასა და მატჩების განრიგს:

„ა“ ჯგუფი

17 იანვარი (ყველა მატჩი თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება): ცსკა (რუსეთი) – გომელი (ბელარუსი) („ოლიმპიისკი“), პაოუნიკი (სომხეთი) („სპარტაკი“);

18 იანვარი: პაოუნიკი – დინამო (უკრ) („ოლიმპიისკი“), ნიხა – ფლორა („სპარტაკი“);

20 იანვარი: ფლორა – დინამო (უკრ) („ოლიმპიისკი“), პაოუნიკი – ნიხა („სპარტაკი“).

„ბ“ ჯგუფი

17 იანვარი (14 სთ): შერიფი (მოლდოვა) – კაუნასი (ლიტვა) („ოლიმპიისკი“), ყარაბახ-აზერბაიჯანი (აზერბაიჯანი) – რუსეთის უნ. ნაკრები („სპარტაკი“);

18 იანვარი: ყარაბახ – აზერსუნი – შერიფი („ოლიმპიისკი“), რუსეთის უნ. ნაკრები – კაუნასი („სპარტაკი“);

20 იანვარი: კაუნასი – ყარაბახ-აზერსუნი („ოლიმპიისკი“), შერიფი – რუსეთის უნ. ნაკრები („სპარტაკი“).

მეოთხედფინალი:

21 იანვარი.

1. „დ“ 1 — „ც“ 2 („ოლიმპიისკი“, 14 სთ).

2. „ბ“ 1 — „ა“ 2 („ოლიმპიისკი“, 16 სთ).

3. „ც“ 1 — „დ“ 2 („ოლიმპიისკი“, 18 სთ).

4. „ა“ 1 — „ბ“ 2 („ოლიმპიისკი“, 20 სთ).

ნახევარფინალი:

23 იანვარი

მეორე წყვილში გამარჯვებული — მესამე წყვილში გამარჯვებული („ოლიმპიისკი“ 17 სთ).

პირველ წყვილში გამარჯვებული — მეოთხე წყვილში გამარჯვებული („ოლიმპიისკი“, 20 სთ).

ფინალი. 25 იანვარი. („ოლიმპიისკი“, 14 სთ).

მატჩების რეპორტაჟს ტელეკომპანია ნტვ-ფუტბოლი გადასცემს.

„ლოკომოტივი“ იცვლება, „ვიტ ჯორჯია“ ივსება

მთავარი მწვრთნელის ცაკარიასის მომლოდინე თბილისის „ლოკომოტივი“ ვარჯიშს შეუდგა. გოჩა თამაზაშვილისა და თემურ ჩხაიძის ხელმძღვანელობით საკმაოდ სახეცვლილი გუნდი ვმზადება. „ლოკომოტივში“ 40-მდე ფეხბურთელია, რომელთა ბედს, აღბათ მთავარი მწვრთნელი გადაწყვეტს. გუნდში აღარ არიან მოწვეული ფეხბურთელები გიორგი მიქა, გიორგი მანწყავა, დავით ჭოჭუაშვილი, ლაშა რუხაიშვილი, ლევან ხომერიკი, ბაბა მუსა და ნანა ეშუაი. მწვრთნელთა განკარგულებაში არიან ახალი ფეხბურთელები: დავით დათვაძე, აქსენტი გილაური, დავით ბაქრაძე, ალექსანდრე კაიდარაშვილი, ზაზა ლაცაბიძე. გუნდში ვარჯიშობენ ახალგაზრდები ჯარაშვილი და ხინკვა.

თბილისის „ვიტ ჯორჯია“ მზადების პირველ ეტაპს დედაქალაქში გაიცილს. გუნდში ბევრი ახალი და ახალგაზრდა ფეხბურთელია. რუსთაველი ბედიაშვილი, დინამოელი ებანოძე, ბათუმელი ირაკლი შენგელია; ფარმალუბიდან — ცუსკოვილი, მალინაკი, ლუკა კვარაცხელია. გუნდი 5 თებერვლიდან თურქეთში იქნება და 22 თებერვლამდე ითამაშებს ბაზრზე გაგრძელებს მზადებას.



თემურ ქუცნაია „ანორთოსისს“ გაწვრთნის

საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი კვიპროსზე აღიარეს. თემურ ქუცნაია წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და „ანორთოსისის“ მესაჭეობაც შესთავაზეს. თემური თავისი გუნდის მოთამაშე-მწვრთნელი იქნება და გუნდს მინდორზეც და მინდვრის გარეთაც უმეთაურებს.

გაბელია ქუთაისში წავიდა, „ტორპედო“ თურქმენეთში მიდის



გადაწყდა, ბოლნისიდან საბოლოოდ წამოსული ოთარ გაბელია ქუთაისის „ტორპედოს“ მწვრთნელი იქნება წელიწადნახევრის განმავლობაში. გუნდი პოროშინმა, ახალაქაძმა, ხვადაგიანმა და მუშკუდიანმა დატოვეს. შევსების რაც შეეხება, ტორპედოელთა მეტოქეებს შეუტევს „თბილისიდან“ წამოსული ერთ-ერთი პირველობის ბომბარდირი სულიკო დავითაშვილი. გუნდში მოვიდნენ კოშკაძე, მემარნიშვილი, ბოლქვაძე. სეზონისთვის გუნდი, ჭერქეზრომით შენ მომზადდება. 10-დან 20 თებერვლამდე კი თურქეთში იქნება და სადარმარაგ ნიაზოვის თასის გათამაშებაში ისპარტზებს. თურქმენბაშის თასზე „ტორპედომ“ შარშანაც ითამაშა.

X X X

ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო ფოთის „კოლხეთმა“. ფოთელები ბაკურიანში, პანსიონატ „წმენდა ველში“ დაბინავდნენ და მთის სუფთა ჰაერზე ფიზიკურად ძლიერდებიან. გუნდი სასკოლო ბერების მოლოდინშია, რომელსაც ნათელი რამდენიმე ხანში უნდა მოეფინოს.

არც ზევით, არც ქვევით



ფიფამ ტრადიციული სანაკრებო რეიტინგი წლეულს, პირველად 14 იანვარს გამოაქვეყნა. ნაკრებთა უმეტესობისთვის არაფერი შეცვლილა, მათ შორის, არც საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის, რომელიც კვლავ 93-ე ადგილზეა. რეიტინგის სამლამ ტრავმების გამო, დოცენტი ზაურ ფხაკაძე) გუნდმა. მეორე ადგილზე გავიდნენ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის (რექტორი, პროფესორი გედეონ ზელაია, კითხვარის გამგე გურამ პაპიტაშვილი) წარმომადგენლები, მესამეზე — ი. ჯავახიშვილის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (რექტორი გია კვინიტაძე).

უკანასკნელ ათეულიც უცვლელია, რომელსაც ბრაზილიის ეროვნული ნაკრები ლიდერობს. ახალი რეიტინგი 18 თებერვალს გამოქვეყნდება. ერთ თვეში სანაკრებო საფეხბურთო სეზონი განახლდება და რეიტინგიც შეიცვლება.

სპორტი ყველასათვის!

ნოდარ ახალკაცის „გარდამავალ თასზე“

სპორტმა თავის ორბიტაში დიდი ხანია მოაქცია სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები. არცთუ შორეულ წარსულში დიდი პოპულარობით სარგებლობდა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა, როგორც კომპლექსური, ისე ცალკეულ სპორტის სახეობებში გამართული ასპარეზობები. მერე, როგორც ბევრი ტრადიციული ღონისძიება, ეს ასპარეზობაც დავიწყებას მიეცა, თუმცა უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი, კერძო სექტორის ხარჯზე, ჩვენში უსაშველოდ გაიზარდა.

ვერ ვიტყვით, რომ კომერციული უმაღლესებიდან სპორტს ყველა პატივს სცემს, მაგრამ, რაც დრო გადის, სპორტულ სარბიელზე სულ უფრო მეტი ცრქრო სასწავლებლების წარმომადგენლები ჩნდებიან. სახელმწიფო უმაღლესების გვერდით. აქაც, ისევე, როგორც ბევრ საქმეში, თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის ღირსეულ პროფესიულ კადრებს (თავდაცვითი ორიოდ ბევრშეღონე). სწორედ ამ ორგანიზაციისა და მისი თავკაცის თაობაზეა ჩვენი საუბარი.

ნოდარ ახალკაცი ცნობილი სპორტსმენია. ის ბევრ სპორტულ ასპარეზობაში მონაწილეობდა, ბევრ ტურნირში გაიმარჯვა, ბევრ ტროფეის მფლობელი გახდა. ამ ყველაფერმა ნოდარ ახალკაცი ბევრ ადამიანთან დააახლოვა, ბევრი მეგობარი შეაძინა. ალბათ, ამიტომაც ეწოდა მის მიერ დაარსებულ ტურნირს „გარდამავალი თასი“. ეს ტურნირი ნოდარ ახალკაცის ინიციატივით ჩატარდა პირველად 1999 წელს. ამ ტურნირის ფარგლებში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფეხბურთელები, ფრენბურთელები, კალათბურთელები, ჭადრაკელები, ტენისელები, ჩოგბურთელები, ფარიკაობის ოსტატები, ძიუდოისტები, ტყვიის სროლის ოსტატები, ორიენტირებით სირბილის ოსტატები, ბილიარდელები, ნარდის მოთამაშეები, ტაეკვონდოელები, ბოქსიორები, ჭიდაობის ოსტატ

ერთი გუნდის ისტორია

„იმერეთი“, ჩვენი „იმერეთი“

არ შეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთერთი კოლორიტულ საფეხბურთო კოლექტივს ქუთაისის „იმერეთი“ წარმოადგენდა.

60-იან წლებში, როცა რაინდსპირა ქალაქის პირველხარისხოვანი ოსტატური გუნდი „ტორპედო“ წარმატებით ასპარეზობდა საკავშირო სარბიელზე და გვახარებდა გამარჯვებითა სერიებით, პარალელურად ჭიათურის კალათბურთელთა სახელოვანი კოლექტივები „ენერგია“, „დინამო“, „იმერეთი“ და „ტორპედოს“ პირველი გუნდები წარმატებით ასპარეზობდნენ რესპუბლიკურ და სხვადასხვა რანგის საკავშირო ტურნირებში. იმ პერიოდში ქალაქში იმატა ნიჭიერი, იმედისმომცემი ფეხბურთელების რაოდენობა და სწორედ მაშინ იქნა იდეა, რომ ქალაქში კიდევ ერთი საფეხბურთო გუნდი შექმნილიყო, რომელიც ნიჭიერ ფეხბურთელებით მოამარაგებდა „ტორპედოს“ ოსტატობა გუნდს.

ამ საინტერესო იდეას ხელი მოჰკიდა ბატონმა გრიშა რუხაძემ, რომელსაც წარიდგინა თანამოკალმეთა წინაშე არ სჭირდება. ერთ დროს პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, 60-იან წლებში ადგილმამყოფელობის კომბინატს თავკაცობდა და სწორედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით ამ საწარმოს ბაზაზე 1958 წელს შეიქმნა ახალი საფეხბურთო კოლექტივი „იმერეთი“. ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელებისაგან ფუძადგმული გუნდის იმთავითვე მიიჩნიეს გულშემატკივრობა ყურადღება. გუნდი ლამაზ ტანჟოლვებ, შეზღუდა კოლექტივის ფეხბურთის თამაშობდა, რაც სანაბაობრივად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა მაყურებლებზე ფეხბურთის სპეციალისტები თუ ჟურნალისტები „იმერეთის“ პერსპექტიულ კოლექტივად მიიჩნევდნენ, რადგან მის რიგებში იყო ნიჭიერი ახალგაზრდობა: ალბერტ ავალიანი, რეზო ძოძუაშელი, იური ხომაკოვი, გურამ ნიშნიანიძე, გრიგოლ ღონღაძე, ჯემალ ხერხაძე და სხვა რომლებმაც ღირსეული სიტყვა თქვეს დიდ სარბიელზე. გუნდის ძირითად ბირთვს ქუთაისის სფეხბურთო სპორტული სკოლის აღსაზრდილები შეადგენდნენ. ბიუზმა შემთხვევითი ქალაქის სიფარული ფეხბურთის გაითვისეს და ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ასპარეზზე სარბიელზე წარმატებით დაეცვათ ქუთაისის სპორტული ღირსება. გუნდის ავანგარდში იყენებ გამოცდილი ფეხბურთელები: გიგი ფირცხალავა, ბოლო ბობობიძე, ვაჟა ქაბანე, გიული პატარაია და სხვები, რომლებსაც, წლების მანძილზე არაერთხელ დაუცავთ ფერები ქუთაისის საქვეყნო ასპარეზებზე და ამ სამოთხო წარმატებითაც საქვეყნოდ აღიარებული ქუთაისის „დინამოს“ სპორტული ღირსება.

რესპუბლიკურ სარბიელზე „იმერეთი“ პირველად 1959 წელს გამოჩნდა. მართალია, პირველ წელს გუნდი ვერ მოხვდა პრიზობითა შორის, მაგრამ ყველაფერი ეს გასაგებია, რადგან რესპუბლიკის უძლიერეს გუნდებთან ბილეღში „იმერეთი“ პირველად ხვება. საკირო იყო კოლექტივს შეთამაშება, სტაბილური შემადგენლობის დადგენა და ტაქტიკური დეტალების დახვეწა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ქუთაისი“ წერდა: „შიდწინაე წლის სეზონი „იმერეთისთვის“ გაცილებით ნაყოფიერი აღმოჩნდა. საქართველოს პირველობა ამჟერად ორ ზონად მიმდინარეობდა. „იმერეთი“ თავიდანვე ჩაეწყა სათავეში და თამაშების ცხრაღე და თავის ერთ-ერთ ძლიერ მოწინააღმდეგესთან თბილისის „სინათლესთან“ ერთად ფინალური ჯგუფში გავიდა. ფინალური ამ გუნდებს გარდა მონაწილეობდნენ მეორე ზონაში გამარჯვებულები ლანჩხუთის „გურია“ და ტყიბულის „მეშახტე“.

ფინალურ ჯგუფში „იმერეთმა“ მთლიანად დაჩაჩა საქართველოს ჩემპიონატების ერთ-ერთი პრეტენდენტი თბილისის „სინათლე“. ეს გუნდი საკუთარ მოედანზე ქუთაისელებმა დიდი ანგარიშით 5-0 დაამარცხეს, ხოლო ქუთაისში უფრო ნაცვლი, მაგრამ მშრალი ანგარიშით მოუგეს. ყველასათვის მოულოდნელად, გაცილებით უკეთესად თამაშობდა ტყიბულის „მეშახტემ“ და ლანჩხუთის „გურიამ“, რომლებმაც „იმერეთთან“ ერთად თანაბარი ქულები დააგროვეს, ამიტომ თბილისში ჩემპიონის გამოსავლენად გაიმართა დამატებითი შეხვედრები ამ სამ გუნდს შორის.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ ლანჩხუთის „გურია“ და ქუთაისის „იმერეთი“. მეტად დაძაბული ბრძოლით 1-0 გამარჯვება ქუთაისელებმა მოიპოვეს, მაგრამ მათ ჩასატარებლად დარჩათ უფრო საპასუხისგებლო მატჩი ტყიბელის ფეხბურთელთა გუნდთან. ამ გუნდებმა ხომ წინა ორი ფინალური შეხვედრა ფრედ 1-1 ითამაშეს. ამჯერად ქუთაისელებმა შეხვედრა მაღალ სპორტულ დონეზე წაიტარეს და დინამოკრეტ დამაჯერებელი ანგარიშით 4-1. ამრიგად, საქართველოს 1960 წლის ჩემპიონობის ბედი ამ გამარჯვებით „იმერეთმა“ თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ყოველღიურო წერილის შეიგნად ქუთაისის „იმერეთმა“ მოაღო ხაზი — ორ წელიწადში მოიპოვა საპატიო ზონა — საქართველოს 1960 წლის ჩემპიონობა ფეხბურთში. ამ გამარჯვებაში თავისი წვლილი მიუძღვის მწვრთნელს, სსრ კავშირის სპორტის ოსტატს არჩილ კილაძეს, თითქმის ყველა წყვრილ გუნდის მონდომებით თამაშობდა გუნდის სული და გულია კაპიტანი ბონდო ბობობიძე. დისციპლინირან, ენერგიული ნახევარმცველი ბონდო ბობობიძე დიდი სიყვარულით გაიღება თავს მოედანზე. მას საკმაო გამოცდილება აქვს, რომ საკირო შემთხვევაში თავისთავზე როგორც დაცვაში, ისე შეტევაში მწვრთნელს, სსრ კავშირის სპორტის ოსტატს ჯემალ ჩოკაძეს.

„იმერეთი“ — განაცხადა მან, ახალგაზრდა გუნდია. მას არცერთის ოთხიოდე წლის ისტორია აქვს და იმ ხნის მანძილზე მეორედ გახდა საპატიო ტიტულის, საქართველოს ჩემპიონობის მფლობელი. პირველი, 1959 წლის სეზონი, გუნდმა არცთუ ისე სახარბიელო მაჩვენებლებით დაამთავრა. ეს მოსალოდნელიც იყო. ფეხბურთელები კარგად არ იყენებ შეთამაშებული ერთმანეთთან, არ იცნობდნენ მოწინააღმდეგეთა ტაქტიკას, მომდევნო წელს კი მათ წინა ხელს წარუმატებლობა საკისპით გამოასწორეს — მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონობა, როგორც კვლით, „იმერეთმა“ გასული წელს დაკარგა ჩემპიონობა და მესამე სპარიზო ადგილით დაკმაყოფილდა.

მომდინარე სეზონის პირველმა მატჩებმა დაგვანახეს, რომ „იმერეთი“ ზზად იყო ცხარე ბრძოლებისათვის. დაგროვილი ნება ქნელების მაჭიმები. თითქმის ასე წარიმართა გათამაშების პირველი წრე, მაგრამ მეორე წრიდან წარმატებები ოდნავ შენელდა. ეს იმიტომ, რომ გუნდს ტრავმების გამო გამოაკლდნენ წამყვანი მოთამაშეები ჭოლაკა, საყოლიე, ჯემალ, წულაძე, დუნდუა, კუტუთაძე...

